ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
ოქმი №5

დაბა ქედა, 24 სექტემბერი, 2025 წელი.

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 11:15 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
ვაჟა აბულაძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი;
მზია ბოლქვაძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე ;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე - დამხმარე სპეციალისტი საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით - თეონა ჯინჭარაძე;
შპს სარაგბო კლუბი „ფირალები“ - ს დირექტორი - კახა ხაბაზი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

24.09.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მზია ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
3	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
4	ვაჟა აბულაძე	კომისიის წევრი	
5	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
6	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
7	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	
8	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წერიგი:

1. **„შპს სარაგბო კლუბი „ფირალები“ - ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა“.**

მომხსენებელი: შპს სარაგბო კლუბი „ფირალები“ - ს
დირექტორი - კახა ხაბაზი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2025 წლის 19 სექტემბერს საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი N:06/95252622-95; განცხადების თარიღი 19.09.2025) „შპს სარაგბო კლუბი „ფირალები“ - ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია“.

შპს სარაგბო კლუბი „ფირალები“ - ს დირექტორმა კახა ხაბაზმა გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა შემდეგი სახით:

შპს სარაგბო კლუბი "ფირალები"-ს საქმიანობაა ქედის მუნიციპალიტეტში ბავშვთა რაგბის განვითარება ასაკობრივ ჯგუფებში, ჯგუფები ფუნქციონირებს პირველი მაისის, მახუნცეთის და დოლოგანის საჯარო სკოლებში, კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებულ საბავშვო ფესტივალებში, რომლებიც ტარდება დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ასევე, მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს რაგბის კავშირის აჭარის ფილიალის მიერ ორგანიზებულ საბავშვო ფესტივალებში, საფესტივალო ასაკი განისაზღვრება 8 - დან 14 წლამდე. საფესტივალო ასაკის ბავშვების განვითარებაზე დასაქმებულ მწვრთნელებს აქვთ ლიცენზია. მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და ვარჯიშის მონიტორინგს ახორციელებს რაგბის კავშირის რეგიონალური განვითარების წარმომადგენელი. შპს სარაგბო კლუბი ,,ფირალები"-ს 2024 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 144 300 (ასორმოცდაოთხიათასსამასი) ლარს, ბიუჯეტის ხარჯები ითვალისწინებს სახელფასო ფონდს, სპორტსმენების სამივლინებო და სატრანსპორტო ხარჯებს, საწვრთნო პროცესებისთვის საჭირო სპორტული ინვენტარის ხარჯებს, ასევე, სპორტსმენების საწვრთნო შეკრების ხარჯებს. 2024 წლის საწვრთნო შეკრება უზრუნველყო სრკ აჭარის ფილიალმა, რის გამოც 2024 წლის ბიუჯეტში გათვლილი სპორტული შეკრების თანხები დაიზოგა. აქედან გამომდინარე, 2024 წელში ბიუჯეტი ათვისებულია 82,07 პროცენტით.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

„შპს სარაგბო კლუბი „ფირალები“ - ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი სახით განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 11:15 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: **ლევან ბერიძე**

ოქმი შეადგინა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე - დამხმარე სპეციალისტი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით: **თეონა ჯინჭარაძე**